

იგორი კოპალიანი თავმჯდომარე



ელ. ფოს ტა igo.r.kopaliani@gmail.com

დაიბადა 1975 წლის 20 აპრილს ქ. სამტრედიაში.

1992 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. მე-8 საშუალო სკოლა. 1992-

1998 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ისტორია-იურიდიულ ფაკულტეტზე სპეც.

„სამართალმცოდნეობა“. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1995 წელს გაერო-ს 50 წლისთავისა და მსოფლიო ახალგაზრდობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის არჩევნებზე, აირჩიეს დეპუტატად.

1998 წლის მაისის თვეში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს დეპარტამენტში გაიარა წინასადაპლომო პრაქტიკა. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ს სოხუმის ფილიალში საბუნებისმეტყველო

ფაკულტეტზე სპეც. „გეოგრაფია“.

1999-2001 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ასპირანტურაში საერთაშორისო სამართლის კათედრაზე.

2000 წელს სამოსამართლო სწავლების ცენტრში გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2001 წელს ჩაირიცხა თბილისის გოეთეს ინსტიტუტში.

2003 წლის მაის-ივლისის თვეებში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის მუშაკთა და სამოსამართლო საკვალიფიკაციო გამოცდებში, რომელთა წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიეცა შესაბამისი სერთიფიკატები.

2003 წელს „საერთაშორისო სახლი“ – უცხოური ენების სწავლების ცენტრში გაიარა ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

2004 წელს მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდის მიერ პოლონეთის (ქ. ვარშავა) სახელმწიფოში ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე „სამოქალაქო დიპლომატია: არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კავშირების გაფართოება და გამყარება“.

2005 წელს სამოსამართლო სწავლების ცენტრში გაიარა კომპლექსური სასწავლო კურსი.

2005 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო აკადემიაში.

1994-1997 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის კანცელარიის უფროს ინსპექტორად.

1999-2001 წლებში მუშაობდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანამშემწედ.

2001-2003 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს საგამომიებო კოლეგიისა და სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამშემწედ.

2003-2004 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წევრად.

2004-2005 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სამართალშემოქმედებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილების უფროსად.

2005 წელს მუშაობდა მარტვილის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

2005-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე .

2009 წლიდან 2013 წლის სექტემბრამდე იმუშავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე .

2013 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე .

ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თსუ სოხუმის ფილიალში და სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის ახალგაზრდა იურისტთა კავშირი“-ს თანათავმჯდომარე . გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო ტრენინგები — მენეჯმენტში, სამართალში, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, კონფლიქტოლოგიაში, მცირე ბიზნესში. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოებულია საპატიო სიგელით. არის სპორტის ოსტატის კანდიდატი ჭიდაობა „ძიუ-დო“-ში.

ვასილ ზაქარაია

თავმჯდომარის მოადგილე

ელ. ფოსტა Vaso zak@gmail.co m